

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სისტემის გლობალური შეფასება – 2013

ძირითადი დებულებები

1. გლობალური შეფასების მიზანია საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის შესაბამისობის შეფასება ევროპულ სტანდარტებთან, ოფიციალური სტატისტიკის გაეროს ფუნდამენტურ პრინციპებთან, ევროპის სტატისტიკის ნორმების კოდექსთან და აგრეთვე ევროსტატის სტატისტიკური მოთხოვნების კრებულთან. გლობალური შეფასება მიზნად ისახავს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის ხელშეწყობას და საქართველოს სტატისტიკის სისტემის საერთაშორისო და ევროპულ რეკომენდაციებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანას.
2. გლობალური შეფასების დეტალური მიზნებია:
 - საქსტატის წარმოებული სტატისტიკური მონაცემების ევროპულ სტანდარტებთან, ნორმებსა და რეკომენდაციებთან შესაბამისობის შეფასება, ასევე სტატისტიკის სფეროში ქვეყნის ადმინისტრაციული პოტენციალის შეფასება
 - საქსტატის ინსტიტუციური ასპექტების და ოფიციალური სტატისტიკის წარმოებისა და გავრცელების ტექნიკური და ორგანიზაციული პოტენციალის შეფასება.
 - სტატისტიკის ცალკეულ სფეროებში სტატისტიკის წარმოების ევროპის სტატისტიკურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება
 - საქსტატის პოტენციალის გაზრდის და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა პარტნიორების სამომავლო ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობის შესაძლო სფეროების განსაზღვრის მიზნით რეკომენდაციების მომზადება.
3. 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, 2009 წელს მიღებულმა საქართველოს კანონმა ოფიციალური სტატისტიკის შესახებ წარმოშვა თანამედროვე სტატისტიკის სისტემის შექმნის შესაძლებლობა და აუცილებლობა. მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი, საქსტატს ჰყავს კომპეტენტური თანამშრომლები და ხელმძღვანელობა, რომელსაც აქვს საუკეთესო საკომუნიკაციო უნარები და სამომავლო გამოწვევების საუკეთესო ხედვა. თუმცა, საქსტატს კიდევ აქვს მოსაგვარებელი პრობლემები, რათა პროფესიულ და კომპეტენტურ ინსტიტუტად ჩამოყალიბდეს, კერძოდ, სათანადო ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნის თვალსაზრისით (შერჩევის ჩარჩოს ხარისხი, კვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტება და, აგრეთვე, კანონმდებლობა).
4. შეფასების მისია კმაყოფილი დარჩა იმ ფაქტით, რომ საქსტატი, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი, პირდაპირ არის

ანგარიშვალდებული პარლამენტის მიმართ. თუმცა, გამოითქვა შემფოთება, რომ ეს სიტუაცია აღმასრულებელ დირექტორს აყენებს ძლიერი პოლიტიკური გავლენის ქვეშ ადმინისტრაციული საკითხების, კერძოდ, ბიუჯეტის შესახებ მოლაპარაკებებში. რეკომენდებულია, რომ ადმინისტრაციული თვალსაზრისით საქსტატი მოექცეს დამფინანსებელი უწყების ქოლგის ქვეშ, პროფესიული დაცულობის შელახვის გარეშე.

5. საქსტატისა და მისი საბჭოს დაქვემდებარების საკითხი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. რიგ შემთხვევებში საქსტატი ანგარიშვალდებულია პირდაპირ პარლამენტის მიმართ, მაგრამ სხვა დროს მასალებს დასამტკიცებლად წარუდგენს პრეზიდენტის ადმინისტრაციას. საქსტატის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით, რეკომენდებულია, რომ საქსტატი ყველა საკითხში პირდაპირ პარლამენტს დაექვემდებაროს.
6. აღმასრულებელი დირექტორის და საბჭოს სხვა წევრების დანიშვნის პროცედურების ზოგიერთი ასპექტი შეფასების გუნდმა არადაამაკმაყოფილებლად მიიჩნია.
 - საბჭოს წევრობის პოზიციაზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია წარადგენს ხუთ არასაჯარო მოხელეს, რომელთაგან აირჩევა აღმასრულებელი დირექტორი. შეფასების გუნდმა მიიჩნია, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესი, რომელიც ლახავს სტატისტიკის სამსახურის დამოუკიდებლობის პრინციპს.
 - არ არის სავალდებულო, რომ ხუთივე კანდიდატი განიხილებოდეს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე: ამდენად, პრეზიდენტის აპარატი წინასწარ უნდა გაესაუბროს კანდიდატებს, რათა დარწმუნდეს, რომ მათ შორის არის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე დასანიშნი ღირსეული კანდიდატი; კიდევ ერთხელ ავნიშნავთ, რომ ეს არის შერჩევის პოლიტიკური და დამოუკიდებლობას მოკლებული პროცესი.
 - სამი სახელმწიფო მოხელე საბჭოში წარმოდგენილია კანონით განსაზღვრული უწყებების მიერ, მათ განუსაზღვრელი ვადით ნიშნავს პრეზიდენტი; ეს აგრეთვე შესაძლებელია ჩაითვალოს საქსტატის დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შემქმნელ პოლიტიკურ ზომად.
 - როგორც მმართველ საბჭოს, საქსტატის საბჭოს უნდა შეეძლოს ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვოს აღმასრულებელ დირექტორს; თუმცა აღმასრულებელი დირექტორისა და საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობების გაერთიანება ხელს უშლის აღნიშნულს და შესაბამისად ჩაითვლება მმართველობის არასათანადო ფორმად.
 - აღმასრულებელი დირექტორი და საბჭოს სხვა წევრები ინიშნებიან არაგანახლებადი ოთხი წლის ვადით, ეს იწვევს საქსტატის ხელმძღვანელობის უწყვეტობისა და გამოცდილების მნიშვნელოვან დანაკარგს ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ და ეს უნდა თავიდან ავიცილოთ.

აღნიშნული პრობლემების გადაჭრისათვის რეკომენდებულია:

- განცალკევდეს აღმასრულებელი დირექტორისა და საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები;
 - აღმასრულებელი დირექტორი უნდა დაინიშნოს საბჭოს წევრების შერჩევისაგან განსხვავებული, გამიჯნული პროცედურით, ღია და დამოუკიდებელი კონკურსის წესით, რომელიც პროფესიული კომპეტენციის გამოვლენას ისახავს მიზნად. აღმასრულებელი დირექტორი იქნება საბჭოს წევრი.
 - საბჭოს ოთხი წევრი, რომელიც არ არის საჯარო მოხელე, უნდა დასახელდეს ღია და დამოუკიდებელი კონკურსის წესით; საბჭოს თავმჯდომარე უნდა აირჩეს ამ პირებისაგან; ყველა კანდიდატურა უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა.
 - საბჭოში წარმოდგენილი სამი სახელმწიფო მოხელე უნდა შეირჩეს ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელი ყველა უწყებიდან და მათი კანდიდატურები პარლამენტმა უნდა დაამტკიცოს, ისინი ხუთი წლამდე სხვადასხვა ვადით უნდა დაინიშნონ საბჭოს შემადგენლობის რეგულარულად განახლების უზრუნველსაყოფად.
 - საბჭოს თავმჯდომარე უნდა აირჩეს ხუთი წლის ვადით, რომლის ერთხელ განახლება შესაძლებელი უნდა იყოს საბჭოსთან შეთანხმებით.
 - საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადა უნდა იყოს ხუთი წელი; სხვა არასაჯარო მოხელე წევრების თანამდებობაზე ყოფნის ვადა უნდა განისაზღვროს ხუთ წლამდე, რათა უზრუნველყოფილი იქნას წევრების მუდმივი განახლება.
7. კანონის 14,4 მუხლში გაკვრით არის ნათქვამი, რომ „აღმასრულებელ დირექტორს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი“ ყოველგვარი განმარტების გარეშე, რაც საფრთხეს უქმნის აღმასრულებელი დირექტორის პროფესიულ დამოუკიდებლობას. რეკომენდებულია, რომ აღმასრულებელი დირექტორის განთავისუფლების პირობები განისაზღვროს ისევე, როგორც საბჭოს სხვა წევრების შემთხვევაში. აღნიშნული არ შეიძლება შეიცავდეს საქსტატის პროფესიული და სამეცნიერო დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შემქმნელ მიზეზებს.
8. თუმცა საქსტატი ადგენს წლიურ სამუშაოთა პროგრამას, რომელშიც განსაზღვრულია სტატისტიკური პროდუქტები, რომლებიც წლის მანძილზე უნდა შეიქმნას და გავრცელდეს, რეკომენდებულია საქსტატმა შეიმუშაოს სტატისტიკურ სამუშაოთა მრავალწლიანი პროგრამაც, რომელშიც განისაზღვრება ხუთი წლის განმავლობაში მისაღწევი შედეგები, მათ შორის სტატისტიკური და საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების სამუშაოები. ეს პროგრამა უნდა მოიცავდეს ოფიციალური სტატისტიკის სხვა მწარმოებლების საქმიანობასაც.
9. კანონი ანიჭებს საქსტატს უფლებამოსილებას, მიიღოს მონაცემები ადმინისტრაციული ორგანოებისგან, საწარმოებისა და ფიზიკური პირებისაგან. თუმცა, ის არ ავალდებულებს საწარმოებს კითხვარების

შევსებას. ამგვარი ვალდებულება არსებობდა ძველ კანონში, ხოლო ეროვნული ბანკი ამჟამად იყენებს მას თავის სტატისტიკურ გამოკითხვებში. საქსტატისთვის კითხვარების დაბრუნების ვალდებულების არარსებობა მოითხოვს დამატებით რესურსებს ურჩ რესპონდენტებთან სამუშაოდ. გონივრული არ არის, რომ ეროვნული ბანკის კითხვარების შევსება და დაბრუნება სავალდებულოა, ხოლო საქსტატის არა. ეს აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

10. იმის მიუხედავად, რომ კანონი უზრუნველყოფს პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვას (როგორც საწარმოების, ისე ფიზიკური პირების), ამ ეტაპზე საქსტატს არ აქვს კონფიდენციალურ მონაცემებზე მუშაობისათვის საჭირო ინსტრუქცია, ხოლო ცნობიერება კონფიდენციალური მონაცემების დაცვის საჭიროების შესახებ სამსახურში არ არის სასურველ დონეზე. რეკომენდებულია, რომ:

- სამსახურის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილი უნდა იყოს კონფიდენციალურ მონაცემებზე მუშაობის ინსტრუქციით.
- ყველა თანამშრომელმა ხელი უნდა მოაწეროს დეკლარაციას, რომ გაეცნო და სწორად გაიგოს ინსტრუქცია. ეს პროცესი პერიოდულად უნდა გამეორდეს.

11. კანონის 7.1 და 16.2 მუხლები საქსტატს საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის ზედამხედველობის და კოორდინირების უფლებამოსილებას ანიჭებს, თუმცა არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკის მისაღები განმარტება და ოფიციალური სტატისტიკის კომპონენტები კარგად არ არის ჩამოყალიბებული. არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომ საქსტატი მოქმედებს ოფიციალური სტატისტიკის სისტემის ჩამოყალიბების შესახებ მოთხოვნის შესაბამისად, ან რომ ოფიციალური სტატისტიკის ყველა მწარმოებელს გაცნობიერებული აქვს სისტემის კონცეფცია, რეკომენდებულია, რომ:

- საქსტატმა შექმნას კომიტეტი, ოფიციალური სტატისტიკის არსებული მწარმოებლების მონაწილეობით, ოფიციალური სტატისტიკის ცნების ჩამოსაყალიბებლად, რათა სტატისტიკურ სამუშაოთა წლიურ პროგრამაში აისახოს ოფიციალური სტატისტიკის ყველა მწარმოებელი და შემუშავდეს ერთიანი პოლიტიკა, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს კოორდინირებული სტატისტიკური სისტემის მდგრად ფუნქციონირებას.
- ოფიციალური სტატისტიკის სისტემის შექმნის მხარდასაჭერად, საქსტატმა უნდა გააფართოვოს წლიური სტატისტიკური პროგრამა და მასში გაითვალისწინოს ოფიციალური სტატისტიკის ყველა მწარმოებელი. უნდა შეიქმნას აგრეთვე სტატისტიკური ინფორმაციის გავრცელების ერთობლივი კალენდარი და ვებ პორტალი მთელი ოფიციალური სტატისტიკის პირველადი გავრცელებისთვის.
- ევროპის სტატისტიკის ნორმების კოდექსი ან მისი ადაპტირებული ვერსია უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის ერთიანი კოორდინირებული სისტემის ხელშესაწყობად.

12. საქსტატის სათავო ოფისი ორ ადგილას არის განლაგებული; წყნეთში მდებარე ოფისი საკმაოდ მოშორებულია თბილისის ცენტრისაგან. ეს ზრდის თანამშრომლებზე დატვირთვას, რომლებსაც შორს უწევთ სიარული, აგრეთვე ართულებს მონაცემთა მომწოდებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების ჩატარებას. რეკომენდებულია, საქსტატმა იმუშაოს წყნეთის ოფისის თბილისის ცენტრალურ ოფისში გადმოტანის მიმართულებით.
13. შეფასების გუნდის აზრით, საქსტატის საბჭოს გაუჭირდება ეფექტურად მოქმედება მასზე დაკისრებული დავალებების მრავალფეროვნების გამო. რეკომენდებულია სტატისტიკური საბჭოს (Statistical Council) შექმნა; იგი დაეხმარება საბჭოს და აღმასრულებელ დირექტორს პროფესიულ და ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით და, ამგვარად, საშუალებას მისცემს საქსტატის საბჭოს მეტი ყურადღება დაუთმოს საქსტატის ხელმძღვანელობის ოპერაციული და ფინანსური ასპექტების ზედამხედველობას. მნიშვნელოვანია საბჭოს წევრების ანაზღაურების საკითხი, რათა მათ ეფექტურად შეასრულონ შესაბამისი ვალდებულებები.
14. საქსტატმა უნდა გადასინჯოს რეგიონული ოფისების რაოდენობა და როლი, მათი მოვალეობებისა და მონაცემთა ელექტრონულად შეგროვების ზრდის გათვალისწინებით.
15. საქსტატის ორგანიზებასთან დაკავშირებით რეკომენდებულია შემდეგი:
- უფრო ეფექტური შიდა კომუნიკაცია ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს შორის, ამ შემთხვევაში ინტრანეტი (შიდა ქსელი) სასარგებლო ინსტრუმენტია.
 - საქსტატმა უნდა შექმნას ფორუმი, რათა უზრუნველყოს თანამშრომლების ჩაბმა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.
 - ბიუჯეტის ანგარიშების სისტემა მოქნილი არ არის, რაც ართულებს ცვალებადი საჭიროებების დაკმაყოფილებას. მეტი მოქნილობა საჭირო ხელფასებთან და ანგარიშებს შორის თანხების მოძრაობასთან დაკავშირებით.
 - ცენტრალური ოფისის ორგანიზებას უზრუნველყოფს აღმასრულებელი დირექტორი თავისი მოადგილეების კომპეტენტურობის შესაბამისად. რეკომენდებულია, რომ საქსტატმა გადასინჯოს თავის სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს უკეთესი კოორდინაცია მონათესავე სფეროებს შორის.
16. საქსტატში არ ფუნქციონირებს ხარისხის მართვის სისტემა; ხარისხის კონტროლი შემოიფარგლება მონაცემთა სიზუსტის შემოწმებით. ამასთან, საქსტატს არ აქვს სამთავრობო უწყებებში და არასამთავრობო სექტორში მომხმარებელთა კონსულტირებისადმი ფორმალიზებული მიდგომა. შეფასების გუნდი მიესალმება შვედეთის სტატისტიკის პროგრამას ხარისხის მაჩვენებლების შემუშავების შესახებ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მხოლოდ მონაცემთა სიზუსტის უზრუნველყოფის ზომებია გათვალისწინებული. საქსტატს სჭირდება ხარისხის მართვის სისტემის მიღება და რეკომენდებულია ხარისხის და მეთოდოლოგიის სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება.

17. ხარისხის მართვის ცენტრალური ელემენტი მომხმარებელზე ორიენტირებაა. მომხმარებელთა ჯგუფები საუკეთესო საშუალებაა მათი მოსაზრებებისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. საქსტატმა თავისი ავტორიტეტის ამალგების, სტატისტიკური მონაცემებისადმი ნდობის გაზრდისა და ოფიციალური სტატისტიკის მეტად გამოყენების უზრუნველსაყოფად უფრო ინტენსიური უნდა გახადოს მომხმარებელთან დიალოგი. ამდენად, რეკომენდებულია სამუშაო ჯგუფების შექმნა სხვადასხვა სტატისტიკური მიმართულებებით. მომხმარებელთა რეგულარული კონსულტირების საკითხი საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტანდარტების და ნორმების დაცვის შესახებ ანგარიშშიც (ROSC) აღინიშნა. ამ მხრივ შესაძლებელია მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის ჩატარება.
18. შეფასების გუნდი მიესალმება საცდელ რეჟიმში მონაცემთა ელექტრონულად შეგროვებას. ამ ტექნოლოგიის გამოყენების გამოცდილება უჩვენებს, რომ „საკვამურის“ (ვერტიკალური) მიდგომაზე (საქსტატის არსებული პოზიცია) უარის თქმა მნიშვნელოვნად ცვლის სტატისტიკის წარმოების მეთოდებს. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პროცესთან დაკავშირებულ კულტურულ ცვლილებებს. რეკომენდებულია მონაცემთა ელექტრონულად შეგროვების გაგრძელება; საქსტატმა ეს მეთოდი მისი საქმიანობის ყველა სფეროში უნდა გამოიყენოს, მათ შორის რეგიონულ ოფისებში. თანამშრომლები სრულად უნდა იყვნენ ჩართულნი პროცესში, რათა თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღონ ცვლილებებზე.
19. მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ორგანიზებისათვის როგორც ოფისის შიგნით ისე მონაცემთა გავრცელებისათვის. შესაბამისი პროექტები უნდა გაგრძელდეს და დასრულდეს სტატისტიკის განვითარების სტრატეგიით გაწერილ ვადებში.
20. როგორც ჩანს, სტატისტიკური განყოფილებები პროგრამული უზრუნველყოფის სხვადასხვა პაკეტებს იყენებენ. პროგრამული უზრუნველყოფის გარემოს სტანდარტიზაცია უწყვეტი პროცესია და უნდა გაგრძელდეს სტატისტიკურ განყოფილებებში, რათა გაუმჯობესდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტურობა და თანამშრომლების ტრენინგი.
21. შეფასების გუნდი სერიოზულად არის შეშფოთებული მოკლევადიანი კონტრაქტებით მომუშავე პერსონალის სტაბილურობით, წყნეთის ოფისის მდებარეობითა და დაბალი ხელფასებით. მეტიც, ადამიანური და ფინანსური რესურსების დონე არ არის საკმარისი, რადგან საქსტატი გეგმავს მნიშვნელოვან განვითარებას საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების შესაბამისად. საქსტატმა უნდა მიიღოს მხარდაჭერა, რათა მოაგვაროს კადრების სტაბილურობასა და არაჯანსაღ სამუშაო პირობებთან დაკავშირებული პრობლემები.
22. თანამშრომელთა კომპეტენტურობისა და შესრულების შეფასების სისტემა ჩამოყალიბების პორცესშია. ეს თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შედეგების შეფასების საშუალებას მოგვცემს. შეფასების გუნდი მიესალმება

ამ ინიციატივას. ასეთი სისტემა პრემირების რაციონალიზაციასაც უზრუნველყოფს.

23. შიდა და საერთაშორისო ტრენინგების გავლის შესაძლებლობები გააუმჯობესებს თანამშრომლების კომპეტენციას და საქსტატის განყოფილებების შესაძლებლობებს. უნდა შემუშავდეს სპეციალური შესავალი პროგრამა ახალი თანამშრომლებისთვის და მომზადდეს ტრენინგის კალენდარი. რეკომენდებულია ინგლისური ენის სწავლება, რათა თანამშრომლებმა შეძლონ საერთაშორისო დოკუმენტების წაკითხვა და უცხოელ ექსპერტებთან ურთიერთობა.
24. საქსტატს აქვს მონაცემთა გავრცელების კარგი სამართლებრივი საფუძველი და უზრუნველყოფილია მომხმარებელთათვის ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა ინფორმაციის გავრცელების კალენდრის მეშვეობით. უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატმა გააუმჯობესა თავისი ვებ გვერდი და ის აქტიურად თანამშრომლობს მედიასთან მრავალრიცხოვანი პრესრელიზებისა და პრესკონფერენციების მეშვეობით. მისასაღმებელია ვებ გვერდის შემდგომი განვითარება, განსაკუთრებით მომხმარებლებისათვის მონაცემთა უფრო მოქნილი შესაძლებლობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
25. ამ სფეროში ერთიანი მიდგომების და სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, სასრგებლო იქნება გავრცელების პოლიტიკის და პრაქტიკის შესახებ დოკუმენტის მომზადება. საჭიროა ცენტრალურ დონეზე გავრცელების ფუნქციის გაძლიერება, რომელსაც ახლა შეზღუდული რესურსები და ამოცანები აქვს. ეს შედეგად მოიტანს პრესრელიზების და პროდუქტების კოორდინირებული, კორპორაციული პროფილის შექმნას, განსაკუთრებით ვებ გვერდზე გავრცელების ან ახალი მონაცემთა ბაზების მომზადების დროს. უნდა აღინიშნოს, რომ დიფერენციაცია ფასიან და უფასო მომსახურებებს შორის ნათლად არ არის განსაზღვრული ყველა მომხმარებლისთვის.
26. როგორც ჩანს, ბოლო ორი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ნდობა საქსტატისა და სტატისტიკური პროდუქტების მიმართ. თუმცა ჯერ კიდევ საჭიროა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დარწმუნება საქსტატის და მის მონაცემთა სანდოობაში. გარკვეული შემფოთებები გამოითქვა სამეცნიერო წრეებთან, მედიასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან შეხვედრების დროს. რეკომენდებულია, საქსტატმა გაატაროს ყველა შესაძლო ზომა ნდობის განმტკიცებისთვის, მაგალითად, დამოუკიდებელი სტატისტიკური საბჭოს ჩამოყალიბებით და მომხმარებელთა და მწარმოებელთა შორის დიალოგის გაღრმავებით.
27. ბიზნეს რეგისტრისათვის ახალი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვამ და შემოსავლების სამსახურიდან ადმინისტრაციული მონაცემების მიღებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ბიზნეს რეგისტრის მოცვა და შინაარსი. თუმცა მეტი ძალისხმევაა საჭირო ბიზნეს რეგისტრის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის და, მაგალითად, საწარმოთა კვლევის შერჩევის ჩარჩოს შესაბამისი ხარისხის მისაღწევად. ბიზნეს რეგისტრის გამოყენებისას

მნიშვნელოვანი პრობლემაა არააქტიური საწარმოების დიდი რაოდენობა და რეკომენდებულია მათი იდენტიფიცირების გაუმჯობესების პროცედურის მომზადება.

28. რადგან საქსტატში არ არის მეთოდოლოგიური განყოფილება, სავარაუდოდ არ არის არც ექსპერტი, რომელიც გააუმჯობესებდა მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, მაგალითად, უმუშევრობის დონისათვის, რეკომენდებულია თანამშრომლობის დაწყება მეცნიერ ექსპერტთან. არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის უმნიშვნელოვანესია წარმოების პროცესის და ზომების კრიტიკული გადასინჯვა. ასეთი თანამშრომლობა შესაძლოა საზოგადოებაში ნდობის ამაღლების მექანიზმი გახდეს.
29. საწარმოებისათვის საქმიანობის სახეობების კლასიფიკატორის, NACE-ის კოდების მინიჭების პროცედურა არ იძლევა გარანტიას, რომ ეს კოდები საწარმოების ყველა აქტივობას მოერგება. რეკომენდებულია კოდების მინიჭების პროცესის გადასინჯვა. უახლოესი მომავლისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს NACE-ის მეორე გადასინჯვის ეროვნული ვერსიის შექმნა. გონივრული ეტაპობრივი გადასვლა NACE-ის პირველიდან მეორე გადასინჯვაზე ფრთხილად უნდა დაიგეგმოს. გადასვლის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს შეცვლილი NACE-ის კლასიფიკატორით გათვალისწინებულ ზომებს, როგორცაა პარალელური შეფასება და რეტროსპექტიული შეფასება. დაბადება-გარდაცვალების მონაცემთა ხარისხი და დროულობა გაუმჯობესებულია, რაც ძირითადად განპირობებულია მონაცემთა შეგროვების უფრო ეფექტური სისტემით, რომელიც ელექტრონულ ანგარიშგებას ეფუძნება. ხარისხის პრობლემა ძირითადად ეხება მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშებას, რადგან ის ეფუძნება 2002 წლის მოსახლეობის აღწერას და სწორდება ბუნებრივი ზრდისა და მიგრაციის მონაცემებით. ამ მონაცემების ხარისხის შეფასება რთულია. მომხმარებლები თვლიან, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის არსებული შეფასება შესაძლოა მნიშვნელოვნად აღემატებოდეს რეალობას (250 ათასი კაცით და მეტით) და შედეგად შესაძლოა მივიღოთ არასწორი მონაცემები ერთ სულზე გაანგარიშებით, მაგალითად, შობადობისა და სიკვდილიანობის კოეფიციენტები. რეკომენდებულია, რომ საქსტატმა გაატაროს კონკრეტული და მკაცრი ზომები, რათა მიიღოს წვდომა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის მიკრომონაცემებზე. მოსახლეობის მომავალი აღწერა უნდა გამოყენებული იქნეს მოსახლეობის რეგისტრის შექმნისთვის.
30. აღინიშნა, რომ მოსახლეობის აღწერა რამდენიმე წელი მზადდებოდა. თავდაპირველად აღწერა დაგეგმილი იყო 2010 წლისთვის და ღონისძიებების უმრავლესობა კარგად მომზადდა, მნიშვნელოვანწილად, GIS მექანიზმების გამოყენებით. თუმცა, აღწერა გადაიდო და დაიგეგმა 2014 წლისთვის. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი იყო 2012 და 2013 წლების არჩევნები, თუმცა, ექვსი ან მეტი თვის შუალედი საკმარისი უნდა ყოფილიყო აღწერის პროცესის პროფესიული დამოუკიდებლობისათვის. კიდევ უფრო ძლიერი არგუმენტია აღწერის უახლესი და სანდო მონაცემების

საჭიროება ოფიციალური სტატისტიკის მომხმარებლებისა და მწარმოებლებისთვის, რადგან მოძველებული მონაცემებით სარგებლობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაკავშირებული პროდუქტის ხარისხზე, მაგალითად, ერთ სულზე მშპ ან შობადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლებზე. მნიშვნელოვანია, რომ აღწერის შესახებ გადაწყვეტილება რაც შეიძლება სწრაფად იყოს მიღებული და ის არა უგვიანეს 2014 წლისა ჩატარდეს.

31. არა ერთმა მომხმარებელმა და ორგანიზაციამ გამოხატა უნდობლობა უმუშევრობის მაჩვენებლების მიმართ. შესაძლოა, ეს ფაქტი საქსტატის მუშაობის მიმართ საზოგადოების ნეგატიურ დამოკიდებულებაზე მეტყველებდეს და შემფოთებას იწვევს. ახლო მომავალში ძირითადი გამოწვევა სწორედ უმუშევრობის მაჩვენებლების მიმართ ნდობის ამაღლებაა. საჭიროა გამოყენებული მეთოდების გამჭვირვალობა, ასევე ვებ გვერდზე უმუშევრობის დონის გაანგარიშებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულყოფილად განთავსება. ამასთან, უნდა აღმოიფხვრას შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის შერჩევის ჩარჩოსთან და სტატისტიკურ პროცესთან დაკავშირებული ხარვეზები, მაგალითად, გადატვირთული კითხვარები.
32. ეროვნული ანგარიშების სტატისტიკა მზადდება SNA 1993-ის საფუძველზე. მშპ-ის გაანგარიშებები წარმოების და ხარჯების მიხედვით მზადდება წლიურად და კვარტალურად, მშპ-ის მოცულობები მუდმივ ფასებში ხელმისაწვდომია მხოლოდ წარმოების მიხედვით. მზადდება მიწოდება-მომხმარების და რესურსებისა და გამოშვების ცხრილები. როგორც აღნიშნულია სავალუტო ფონდის 2011 წლის ანგარიშში, მონაცემთა რესურსებში არსებული ხარვეზები ხელს უშლის ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების და ბალანსების შეფასებას. ეს ძირითადად ეხება საქართველოს ეკონომიკაში გარკვეული აქტივობების მოცვას, მაგალითად, ვაჭრობას, მშენებლობას და ინდივიდუალურ მეწარმეთა საქმიანობას, სადაც შუალედური მოხმარების შეფასება პრობლემურია. ეკონომიკის ინსტიტუციური სექტორების ბალანსი ამ ეტაპზე არ არსებობს და, თუ რესურსები შესაძლებლობას მოგვცემს, უნდა შედგეს, ამ შემთხვევაში პრიორიტეტი უნდა იყოს სახელმწიფო სექტორი, ხოლო შემდგომ შინამეურნეობები, კერძო და შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციები, არასაფინანსო და საფინანსო კორპორაციები.
33. საქსტატი აწარმოებს ფასების ორ ინდექსს: სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) და მწარმოებელთა ფასების ინდექსი (მფი); ამასთან, საქსტატი მონაწილეობს შედარების საერთაშორისო პროგრამის (ICP) 2012 წლის რაუნდში. საქსტატი სამომხმარებლო ფასების ინდექსს 1992 წლიდან ანგარიშობს. კალათა ყოველწლიურად გადაისინჯება და მასში მცირედი ცვლილებები შედის, ძირითადად შინამეურნეობების ინტეგრირებული კვლევის მონაცემების საფუძველზე. შინამეურნეობების ინტეგრირებულ კვლევასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული პრობლემების გარდა, ეს

კონცეფცია გულისხმობს, რომ 12 თვის განმავლობაში მომხდარი ცვლილებები არ უკავშირდება კალათის ცვლილებას. ორივე (ძველი და ახალი) კალათის გამოყენებით ჯაჭვური ინდექსის გაანგარიშებამ უნდა გადაჭრას ეს პრობლემა. არ ასეობს კალათის რეგულარული, სისტემური გადასინჯვის რაიმე გეგმა და ამგვარი გეგმა აუცილებლად უნდა შემუშავდეს. აღინიშნა დაბალი ნდობა სამომხმარებლო ფასების ინდექსის და ინფლაციის მაჩვენებლების მიმართ, ანუ მდგომარეობა ისეთივეა, როგორც უმუშევრობის დონის შემთხვევაში. ამას ალბათ ხელი შეუწყო სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და მეთოდოლოგიის შესახებ არასრული ინფორმაციის განთავსებამ ვებ გვერდზე. ამ შემთხვევაშიც რეკომენდებულია უმუშევრობის დონესთან დაკავშირებით მითითებული ზომები. სავალუტო ფონდის ანგარიში სტანდარტებისა და ნორმების დაცვის შესახებ (ROSC) ასევე მიუთითებს გარკვეულ სისუსტეებზე რელევანტურობის, მოცვის, პირველადი მონაცემების, სტატისტიკური მეთოდების და მეტამონაცემების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული.

34. საქსტატის ბიზნეს სტატისტიკის განყოფილება ბიზნეს კვლევების საფუძველზე უზრუნველყოფს სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლის გაანგარიშებას. ახლახანს დაიწყო ყოველთვიური ზრდის მაჩვენებლის გაანგარიშება შემოსავლების სამსახურიდან მიღებული დღგ-ს მონაცემების საფუძველზე. საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისთვის აუცილებელია მოკლევადიანი სტატისტიკა, მათ შორის მრეწველობის, მშენებლობის, საცალო ვაჭრობის და სხვა მომსახურების ყოველთვიური ან კვარტალური მაჩვენებლები. ბიზნეს კვლევების მონაცემების ხარისხი დამოკიდებულია ბიზნეს რეგისტრის ხარისხზე, ამიტომ რეკომენდებულია ჩატარდეს 2014 წლისთვის დაგეგმილი ეკონომიკური აღწერა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კანონის შესწორებით ამოქმედდეს რეკომენდაცია საწარმოების სავალდებულო ანგარიშგების შესახებ (იხ. რეკომენდაცია მე-9 პუნქტში).
35. სოფლის მეურნეობის სტატისტიკა ეფუძნება ყოველწლიურად ჩატარებულ ხუთ კვლევას. სამწუხაროდ, სასოფლო მეურნეობათა რეგისტრი, რომლის საფუძველზეც ამ კვლევებისთვის გამოსაკვლავი ერთეულების შერჩევა ხდება, ეყრდნობა 2004 წელს ჩატარებულ სასოფლო-სამეურნეო აღწერას და მისი ხარისხი მაინცდამაინც კარგი არ არის. ეს შესაბამისად უარყოფით გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სტატისტიკის ხარისხზე. მომდევნო აღწერა დაგეგმილია 2014 წელს და ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაიდოს. რეკომენდებულია უფრო მჭიდრო თანამშრომლობა ინფორმაციის მომხმარებლებთან, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, რაც ფრიად სასარგებლო უნდა იყოს.
36. თუ რესურსები საშუალებას მისცემს, საქსტატმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს მრავალმხრივი სტატისტიკის განვითარებას – მდგრადი განვითარების შესახებ გაეროს კონფერენციის დოკუმენტის შესაბამისად (Rio +20), რომელიც ხაზს უსვამს კარგი სტატისტიკის არსებობის

მნიშვნელობას მდგრადი განვითარების, გარემოს დაცვის, ენერჯით უზრუნველყოფისა და კლიმატის მაჩვენებლების გაზომვისთვის.

37. რეკომენდებულია მომსახურების სფეროსა და ტურიზმის სტატისტიკის საერთაშორისო სახელმძღვანელოების შესაბამისად გაუმჯობესების შესაძლებლობების განხილვა. აღნიშნულმა უნდა მოიცვას როგორც მოთხოვნა, ისე მიწოდება: ტურისტული მომსახურების შიდა წარმოება დაწყებული სასტუმროების მიმდინარე სტატისტიკით და დამთავრებული რეზიდენტების მიერ ტურისტული მომსახურების შექმნით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ.